№ 60 18 მარტი, კვირა 1866—1879 18 მარტი, კვირა № 60

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა:** [illegible] ასოებით ახოზე—10 კაპ.; —[illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ხელის-მოწერა

### გაჭირებულ ქობულეთელთათვის

სია—მეხუთე

დაბა ყვირილაში მოგროვილი უფ. ა. მ. ჭ—ას საშუალობით:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ალექსანდრე ჭყონია — — | 5 | „ |
| იაკინთე ყიფიანი — — — | 5 | „ |
| ანდრონიკე ქანდელაკი — — | 1 | „ |
| თ. მერაბ ლორთქიფანიძე — | 10 | „ |
| სპირიდონ ლეჟავა — — — | 1 | „ |
| ილია ჩხეიძე — — — — | 1 | „ |
| უცნობი — — — — — — | 3 | „ |
| დროებით აქ მცხოვრები პ. მ. კ. | 1 | „ |
| გუბ. სეკრეტ. ასლან აბაშიძე | „ | 50 |
| პავლე ჩხეიძე — — — — | 1 | „ |
| დროებით მცხოვრები თ. კ. დ. ე. | 5 | „ |
| პიკაჩეიშვილი — — — — | 1 | „ |
| ს. ავალიანი — — — — | „ | 40 |
| ჭავთარაძე — — — — — | 1 | „ |
| ო. იოსელიანი — — — — | 2 | „ |
| გ. ერისთავი— — — — — | 1 | „ |
| ბიჭია ყლენტი — — — — | 1 | „ |
| მღ. ბ. საყვარელიძე — — | 1 | „ |
| ბესარ. მოდებაძე — — — | 1 | „ |
| ალექსი არდიშელი— — — | 1 | „ |
| იქროპირ არობიძე — — — | 2 | „ |
| გიორგი რუხვაძე — — — | 2 | „ |
| პოსტ. მაჭავარიანი — — — | 1 | „ |

სულ— 47—90

ადრინდელი —345—15

სულ რედაქციაში მოგროვილია 393—5

## ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**პეტერბურღი,** 15 მარტს. გრაფი ლორის-მელიქოვი გუშინ დაბრუნდა ცარიცინში. ჭვათ აღარავინ აღარ არის.

**ვეტლიანკა,** 13 მარტს. „გოლოსის“ დეპეშა: გუშინ დაანგრიეს და დაწვეს აქ 22 სახლი.

**ბელგრადი,** 14 მარტს. ტყუილი გამოდგა ის ამბავი, ვითომც მილოიკოვიჩი ვენაში დაინიშნა სერბიის ელჩათაო.

## საქართველო

### დღიური

*** მომავლის ოთხშაბათს, როგორც გვაცნობებენ, აქაური ქართული სცენის მოყვარენი წარმოდგენის გამართვას აპირებენ გაჭირებულ ქობულეთლების სასარგებლოდ.

ითამაშებენ თ. დ. გ. ერისთვისაგან ფრანცუზულიდამ გადმოკეთებულს პიესას „გერო, მინას და კამპანია“ და თ. ივ. ბარათაშვილის ვოდევილს „სხვა რიგი სიყვარული“.

*** მოგეხსენებათ, რომ ქუთაისში გაგზავნილია სამხედრო კამისია, რომლის თავსმჯდომარედ დანიშნულია ღენერალ-მაიორი ტრეიტერი და რომელსაც მინდობილი აქვს გამოიკვლიოს—თუ რა ფასები იყო ომის დროს სხვა-და-სხვა ხორაგეულზე და თივაზე, რომელიც რიონის ატრიადისათვის ჰქონდათ უფ. მირზოევს და სხვა პოდრიადჩიკებს აღებული.

ჩვენ შევიტყეთ ახლა, რომ ხსენებულ კომისიას ბრძანება მისვლია, რომ გამოძიება მოახდინოს პოდრიადჩიკის მირზოევისა და რიონის ატრიადის ინტენდანტის მოქმედებაზედ.

*** ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის დირექტორმა უფ. ლევანდამ თხოვნა მისცა უფ. პოპეჩიტელს იანოვსკის სამსახურიდამ დათხოვნის თაობაზედაო.

ახლა ამბობენ, ვითომც რამდენიმე დღის შემდეგ უფ. ლევანდას ეთხოვნოს უკან წაღება თავის ქაღალდისა; მაგრამ უფ. იანოვსკიმ აცნობა იმასაო, რომ თქვენს თანამდებობაზედ უკვე სხვა პირი (უფ. სტაიანოვი) არის დანიშნულიო.

## ფელტონი

### მასლაათი

რად გვიყვარს სიცხოველე?—იმერლის ხასიათი.—შემდეგში რა მოელის იმერეთს?—მღელვარება ქუთაისში ჟურიების საქმის დროს.—ვის სჯერა და ვის არა?—სოფლის ხალხი და განათლებულნი.—რას ამბობენ ჟურიების გამართლებაზედ?—ჟურიების ალტაცება გამართლების დროს.—ვის „აწყინა“ ამ პროცესმა?—

—

არაფერი არ არის ადამიანისათვის ისეთი სასიამოვნო, როგორც სიცხოველე, სიმარჯვე, მოძრაობა, მხნეობა, მოქმედება. მეორეს მხრით, არაფერი არ არის ისე საზარელი, როგორც სიზანტის, გაურჯელობის და თავ-მინებების, გულ-ავარდნილობისა და უმოქმედობის დანახვა კაცში.

ყველაფერი ცხოველი, მოქმედი, მხნე ჩვენ გვიყვარს; ყველაფერი, რაც ზანტია, ჭაპანწყვეტით მოძრავი გვძულს, ცუდს, მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს ჩვენში.

ეს გასლავთ იმის გამო, რომ ყველაფერი ცხოველი და მომქმედი კაცს სიცოცხლეს მოაგონებს, და სიცოცხლე კაცს უყვარს; ყველაფერი ზანტი, მძიმედ მოძრავი კი მოგვაგონებს სიკვდილს, და სიკვდილი ჩვენ გვძულს.

უეჭველია, ამ ადამიანის ინსტიქტიური გრძნობისაგან წარმოსდგება ის, რომ მე იმერელი ასე მიყვარს.

იმერელი ბუნებით ცოცხალია, მოუსვენარი, მუდამ მოძრავი, მომქმედი. დაუდეგარი. საქმე რო არაფერი ჰქონდეს, ყველაფრით რო ყელთამდინ სავსე იყოს და კმაყოფილი, მაინც, სანამ, ცოცხალია, არ მოისვენებს, გაძვრებ-გამოძვრება, წაცუნცულ-წამოცუნცულდება, იქ მივარდება, აქ ეცემა, ერთს წაჩხუბებს, მეორეს შეარიგებს, მესამეს მოატყუილებს, და ამნაირად საქმეს გაიჩენს.

მართალია, ეს იმერლის მოქმედება ხშირად ბოროტი მოქმედებაა; მართალია, ეს იმერლის გაძრომ-გამოძრომა ხშირად მოყვასთათვის სასარგებლო არ არის; მართალია, იმერლის გაიძვერაობა კარგი რამ თვისება არ არის; მართალია, იმერლის დაუდეგრობა და მუდამ აქეთ-იქით მიხეთქება ხშირად იმისთვისაც და სხვისთვისაც მავნებელია,—მაგრამ, რაც უნდა იყოს, ამ გვარი ხასიათები იმისი მე მაინც სიცოცხლეს, სიცხოველეს წარმომიდგენს თვალწინ და უფრო მომწონს, ვინემ იმ კაცის ხასიათი, რომელსაც თავის საკუთარი ლოკოკინის ბუდე გაუჩენია და ცა ქუდათ მიაჩნია და დედა-მიწა ქალამნათ, რომელიც დაზოზინობს დედა-მიწაზე და სრულიად კმაყოფილია, თუ კი დღეისთვის ლუკმაპური არა აქვს საზრუნველი!

*** ერთს ახირებულ ამბავს გვწერენ ახალციხიდამ:

ერთი იქაური მცხოვრები სტ. ფ—ევი დანიშნლაევებია სასწორზე ვილაცაებს, რომ ორ ფუთიანს ავილებ წვერებითაო. ეს სტ. ფ—ევი ტან-მდაბალი და სუსტი აგებულობის კაციაო, წვერი კი ორი ვერშოკი სიგრძე აქვსო. ბამოუბამთ ამ კაცისათვის წვერზე აბრეშუმის ლეკვერთხი (ტოლალი), მეორე ბოლო ამ ლეკვერთხისა გაუყრიათ ორ ფუთიანის ყურში და გაუშვიათ. ამ კაცს მართლაც აუწევია ამნაირად წვერებით ეს ორ ფუთიანი და არათუ აუწევია, ათს საჟენზედ წაუღია და ნიზლავიც 25 მანეთი მოუგია...

*** ხვალ ორშაბათს, 19-ს მარტს, ქალაქის რჩევას, სხვათა შორის, შემდეგ საგნებზე ექნება სჯა:

1) ამორჩევა იმ კომისიების წევრებისა, რომლის დანიშვნაზე უფ. ხმოვანმა სტატკოვსკიმ შემოიტანა წინადადება;

2) აზრი ხმ. ალადათოვისა იმაზედ, რომ პოლიცია უკანონოთ თხოულობს სახლის-პატრონებისაგან სახლების წინ ქუჩების გასუფთავებას;

3) აზრი ხმოვანის თ. ჩოლაყაშვილისა შენობითი კამისიის დანიშვნაზედ;

4) მოხსენება ქალაქის გამგეობისა შტატებზედ;

5) დასკვნა გამგეობისა სანიტარულ კომისიის მოხსენებაზედ;

6) მოხსენება პირუტყვის დაკვლის გადასახადის იჯარით მიცემაზედ და სხვ.

*** „თფილისის მოამბეში“ იწერებიან გორის უეზდის სოფ. მეტეხიდამ, რომ ამ სოფელში და იმის ახლო-მახლო სოფლებში ერთი რაღაც საშინელი ავათმყოფობა გავრცელდაო, რომლისაგან მუდამ დღე იხოცება ხალხიო. ეს ავათმყოფობა ქვალით იწყება თურმე, მერე გული და ყელი ასტკივა, გული უწვრილდება, თვალები გამოებერება, სუნთქვას ვეღარ ახერხებს თავისუფლად, მუდამ ოხრავს და ბოლოს ორი-სამი დღის შემდეგ კვდება.

ამისთანა გაჭირებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხს პატრონი, ექიმი არავინა ჰყავს, რომ მიხედოს, დარიგება, წამალი მისცეს და ხელი მოუწყოს.

---

## ახალი წესდება სასულიერო სასწავლებლისათვის

„სასულიერო მოამბის“ (Духовный Вѣстникъ) მეორე №-ში სხვათა შორის წავიკითხეთ გადაწყვეტილება უწმინდესის სინოდისა სასულიერო სასწავლებლებში 1879—1880 აკადემიკურ წლიდან ახალი წესების შემოღების თაობაზე. ეს ახალი წესები მხოლოთ მასწავლებლების მდგომარეობის გაუმჯობესობას შეეხებიან.

მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უწმინდეს სინოდს დაუნიშნავს 1,200 მან. ჯამაგირი ზედამხედველისთვის, ნაცვლად 900-ისა, მის თანაშემწისათვის 900 მანეთი, ნაცვლად 600 მანეთისა, მასწავლებლებისთვისაც 900 ნაცვლად 420. მაგრამ ეს ჯამაგირები უნდა ეძლეოდეს რა სემინარიაში კურს შესრულებულებ, არამედ აკადემიაში და სხვა მაღალ სასწავლებელში.

უწმინდურის სინოდის აზ ით, თუ სასულიერო სასწავლებლებში აკადემიელები იქმნებიან ნაცვლად სემინარიელებისა, სწავლის საქმე ძრიელ კარგათ წავა.

მართალია, სასულიერო სასწავლებლებში არიან ბევრი იმისთანა გვამები, რომელთაც ისრე ესმისთ პედაგოგის დანიშნულება და მისი დედა-აზრი, როგორც მე ჩინური; მართალია, არიან იმისთანაებიც, რომლებისთვისაც თავის ჯიბის ინტერესების მეტი თაყვან საცემი არა აქვთ რა; მაგრამ მაინც ჩვენ გაბედვით ვიტყვით, რომ თუ მცირედ მაინც გააუმჯობესდა მდგომარეობა სემინარიაში კურს შესრულებულ მასწავლებელთა, ესენიც ძალიან გარგათ წაიყვანენ სწავლის საქმეს, რადგან სემინარიელები გარდა ამისა, რომ შრომისთვის ბეჯითად თავდადებულნი არინნ, კიდეც პირველ-დაწყებით სწავლისათვის საკმაოთ ვარგანან. აკადემიელებსაც, რასაკვირველია, შეუძლიანთ შრომა, მაგრამ მათი შრომა უფრო მაღალ ხარისხულია, უფრო მაღალ სასწავლებლებისათვის გამოსადეგი; იმ გვარ სასწავლებლებში, რა გვარიც სასულიერო სასწავლებლებია, საკმაოა მასწავლებელმა იცოდეს ცოტა, მაგრამ რაც იცის, მტკიცეთ და გამჭრიახათ.

აკადემიელები აქ ამაყურად დაიჭერენ თავს, რადგან ვინ დაბალ ხარისხის სასწავლებელი, ვინ ჩვენაო, იტყვიან. მართლაც, ცუდ მდგომარეობაში იქნებიან ისინი: მეცნიერების და ფილოსოფიურ ენით შესწავლული საგანი გაუძნელდებათ პატარა მოსწავლეებისთვის გადაცემა, მოწაფეთაც გაუჭირდებათ თვის მასწავლებლის მჭევრ-მეტყველურ-ფილოსოფიური გაკვეთილები. როგორც ამხანაგს ამხანაგის ახსნილი კარგა ესმის, ისე ნახევრათ განათლებულ სემინარიელის ნაუბარი უფრო მალე გაეგება

---

მე მომწონს იმერლის დაუდეგარი ხასიათი კიდევ იმიტომ, რომ კაცობრიობის წარმატება თითქმის მარტო ამ გვარი ხასიათის მქონე ხალხისაგან წარმომდგარა..

დღეს იმერელი კერძოობითს, წვრიმალ ინტერესებს მისდევს; იბრძვის, ფაცურობს, მღელვარებაშია იმისთანა საქმისათვის, რომელიც იქნება გროშათაც არა ღირს.

მაგრამ ხვალ შეიძლება გარემოება გამოიცვალოს, შეიძლება უფრო ვრცელი ასპარეზი გაეხსნას იმის მოძრაობას, მოქმედებას, შეიძლება საზოგადო ინტერესები, საზოგადო საქმეები გაუჩნდეს,— და მაშინ ამ გვარი მდგომარეობისათვის სწორეთ იმერლისთანა ხასიათის ხალხი გამოდგება და არა ისეთი, რომელიც ამბობს:

„— მე თუ არ ვიქენი, ქვა-ქვაზედაც ნულარ დარჩენილაო!“

გაიხსენეთ იმერეთის მარშლების ამორჩევა, ბანკის თაობაზე კრებები და კენჭის-ყრა. გაიხსენეთ და დამერწმუნებით, რომ ყოველ საზოგადო საქმეს ამ გვარი ხალხი გულ-მხურვალეთ მოჰკიდებს ხელს, ის არ მიანებებს ხელს და არ იტყვის:

„— ეჰ, საქმე არა გაქვს! თავი დამანებე მამა გიცხონდა! როგორც გერჩიოსთ, ისე გააკეთეთ“!

ეს აზრები მომივიდა მე თავში, როდესაც გავლილ კვირას დავეწრი ქუთაისში საბრალო ბ. არიონ ღოღაბერიძის მიცვალებულზედ და ურიების საქმეების გარჩევაზედ.

ჯერ აპრილი ახლოს არ არის, ჯერ ბ-ნ. ღოღაბერიძე კიდევ არ გაციებულიყო, ახლავე ბანკის თაობაზედ შექნა ერთი გაუწყვეტელი ლაპარაკი და ყაყანი: ვინ ამოვირჩიოთ ჩვენი ბანკის გამგებლად, დირექტორად, ზედამხედველი კომიტეტის წევრებათ და სხვ.

ჯერ ურიების საქმე არც კი დაწყებულიყო, ახლავე იროს ფაცურში, გაცხარებულ ლაპარაკში იყვნენ. ერთი იძახის:

— იმათი გამართლება შეუძლებელია! რას ამბობ, კაცო, ას ოცი მოწმეა, ყველას თავის თვალით უნახავს, ურიებს რომ ბავში მიჰყავდათ.

მეორე ამტკიცებს:

— შეუძლია, გაამართლებენ! საცა დარდუბალის კიდობანი გაიხსნა, იქ იმათ გამართლებას წინ ვერაფერი დაუდგება!

მესამე გვარწმუნებს:

—ურიებმა სამი მილიონი დახარჯესო!

და სხვ. და სხვ.

გასაკვირველია მართლაც ის მღელვარება და აყალ-მაყალი, რომელიც ამ ურიების საქმემ აღძრა იმერეთში.

ეს მღელვარება წარმოსდგება იმისაგან, რომ იმერეთში ძნელად ნახავთ იმისთანა კაცს ქრისტიანთაგანს, რომელიც მტკიცედ დარწმუნებული არ იყვეს, რომ ურიებს ქრისტიანის სისხლი ეჭირებათ და ამისათვის დრო-გამოშვებით იტაცებენ და აწვალებენ ჩვენის რჯულის ბავშვსაო.

ამის დასამტკიცებლად ათასს მაგალითს მოგიყვანებენ: აი სოფ. ქულაშში შეიტყვილა სინაგოგში ერთმა ურიამ ქრისტიანის ქალიო, და იქ დაიჭირეს დამზადებულ მოგროვილ ურიებმა და სისხლისაგან დასცალესო; სოფ. განძაში რვა წლის ბავში დაიკარგაო და დღესაც არ იციან, სად არისო, რასაკვირველია, ურიებმა მოიტაცესო; სხვაგანაც ბევრ-

ყმაწვილს, ვიმემ აკადემიელებისა, რადგან პირველნი უფრო ყმაწვილებთან ახლო არიან გახსნილობით.

ბარდა ამ მიზეზისა კიდე ერთიც არის:

ხეირიანი მასწავლებელი ყოველთვის რუსეთშიაც კაი ადგილს იშოვნის და აქ არ გადმოეხვეწება; თუ რუსეთში ვინმე დაითხოვეს, უვარგობისა გამო, სამსახურიდამ, იმას უკრავენ უეჭველად აქ თავს.

ახალი წესები ჩვენს დედა ენას სრულიად განდევნიან, როგორც თითქმის ახლაც სრულიად განდევნილია აქაურ პროგიმნაზიებში, ინსტიტუტში, გიმნაზიებში, თვით სემინარიაში და სხვ.

ამ ზემოხსენებული მოსაზრების გამო არა გვგონია, რომ ახალმა წესებმა სიკეთე მოუტანოს ჩვენს სასულიერო სასწავლებლებს.

ფისტონი

# სამართალი

## ურიების საქმე

ქუთაისის ოლქის სასამართლოში

სხდომა 12 მარტს, დილით.

**ალექსანდროვის სიტყვა** (გაგრძელება). პირველი და აუცილებელი პირობა მოტაცებისათვის არის ის, რომ მომტაცებელი და მოსატაცებელი ერთად შეიყარნონ. ეს პირობა დავიწყებია გამამტყუვნებელ უფლებას ამ შემთხვევაში: მართლაც, შეიძლებოდა თუ არა სარრა მოდებაძის მოტაცება?

„მე ვამტკიცებ, რომ არ შეიძლება; არ შეიძლება იმიტომ, რომ როდესაც ორმა წყება ურიებმა გაიარეს საძალლიხევის შარაზე, იმ დროს სარრა ჯერ კიდევ ახალ გამოსული იყო ტყიდამ, სადაც ტურფა ცხადაძისთან იმყოფებოდა. არც ერთს მოწამეს არ დაუნახავს სარრა საძალლიხევის შარაზე იმ დროს, როცა ურიებმა გაიარეს. ამბობენ მხოლოთ, რომ ამ გზისაკენ ჰქონდა პირიო. სხვა გარემოებიდამ და მოწმეების ჩვენებიდამაც ჩვენ ცხადათ შეგვიძლია გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ როცა სარრა გამოვიდოდა (თუ კი გამოვიდა) ამ შარა-გზაზე, მაშინ ურიები—პირველი ოთხიც და მეორე სამიც—ორივე წყება უკანასკნელ 250—300 საჟენზე მეტზე გაშორებული იქნებოდნენ იმ ადგილიდამ, საცა ზილიკი შეუერთდება შარას და საცა სარრა გამოვიდოდა.

„ყველა ეს ცხადპათ სჩანს ამ ლანზე და ამიტომაც ვამბობ, რომ მარტო ამ პლანის საშუალებით შეიძლება იმის დამტკიცება, რომ სარრა და ურიები ვერ შეხვდებოდნენ ერთმანეთს და მაშასადამე მოტაცებაც შეუძლებელი იყო.

„შემდეგ სხვა საბუთები: გამამტყუვნებელი აქტი გვიმტკიცებს, რომ ურიებმა დაიჭირეს სარრა, ხურჯინში ჩასვეს და ისე მოიყვანეს საჩხერეშიო. დოქტორმა გულბინსკის ცხადათ დაგვარწმუნა, რომ ეს შეუძლებელი საქმეა. უეჭველია, რომ, თუ სარრა ხურჯინში ჩაესვათ ისე, როგორც მოწმეები ამტკიცებენ, თუ ხურჯინისათვის თავი მოეკრათ, ის ბევრი-ბევრი ნახევარი საათის შემდეგ დაიღრჩობოდა და მაშასადამე მოწმეები საჩხერეში— 15 ვერსის სიშორეზე — ველარ გაიგონებდნენ იმის ყვირილს და ხვნეშას. ამას გარდა ამავე უ. გულბინსკიმ დაგვიმტკიცა, რომ ხურჯინით წაყვანილ ბავშვს უეჭველად ხორცის კანი რამდენსამე ალაგას დაბექილი და დალურჯებული იქნებოდა. სარრა კი, თუმცა ორჯერ გასინჯეს და გასჭრეს, მაგრამ ვერაფერი ვერ უნახეს დალურჯებული.

„ამას გარდა, წარმოიდგინეთ, ბავშვს ხურჯინში ჩასმას უპირებენ ურიები. განა ბავში ერთს მაინც ისეთს არ დაიყვირებს, მეზობლებმა და მუშა ხალხმა გაიგონოს? განა არ დაფაცურდება, არ ეცდება კბილებით დაგლიჯოს ხურჯინი, არ ეცდება როგორმე თავის განთავისუფლებას? ვინ გაიგონა საძალლიხევის გზაზე იმის ამისთანა საზარელი ყვირილი? გაიგონა მხოლოთ ბავშის კნავილი დიმიტრი ბექანის ძემ წერეთელმა, ისიც რამდენიმე საჟენზე! დაინახა ხურჯინში მოძრაობა გაჩეჩილაძემ,—ისიც საჩხერიდამ 6 ვერსზე, როდესაც, თუ მართლა ყოფილიყო იქ ბავშვი, უეჭველია, დიდი ხნის მკვდარი, დიდი ხნის დამღრჩვალი უნდა ყოფილიყო!

„აი ამისთანა საბუთებია მოყვანილი გამამტყუვნებელს აქტში. და ამისთანა საბუთებზე დამყარებული გამამტყუვნებელი უფლება გეუბნება თქვენ, უფ. მოსამართლენო, რომ ცხრა კაცის ციმბირში გაგზავნაზე, კატორღაში დალუპვაზე ხელი მოაწეროთო!

„სცენა იცვლება. წარმოიდგინეთ თავად-აზნაურების წინამძღოლის ეზო. ამ ეზოში უეცრად შემოვარდება ერთი ურია, დაჯდება ბალკონის წინ მიწაზე და დაიწყებს ყვირილს: „მიჩვენეთ თ. სიკო წერეთელი! ჩემი გულის-პასუხი უნდა უთხრა იმას! ჩვენმა რჯულმა თქვენი რჯული აწვალა!“

„როგორ არ იფიქრებთ ამის შემდეგ, რომ: „აი კაცი, რომელსაც განუზრახავს ყოველი კავშირის გაწყვეტა თავის ბარბაროსულ სარწმუნოებასთან და იმის საძაგლობა უნდა გამოაშკარავოსო!“ მაგრამ ბოლოს სულ სხვა გვარად აიხსნება საქმე; აღმოჩნდა, რომ იმ ურიას კი არ ნდომებია თავის სარწმუნოების დალუპვა, თვითონ ის დალუპულა ამ დღეს ღვინოში.

ჯელ მომხდარა ჩვენში ამისთანა შემთხვევაო, სურამში ხომ ორჯერ მოხდაო და სხვ.

და ეს აზრი ისე გამჯდარი აქვთ ტვინში, რომ იმის ამოგდება ამ ჟამად შეუძლებელია! რაც უნდა უთხრა, რამდენიც უნდა ელაპარაკო, რომ ეს ურიებისაგან ბავშის მოტაცება ჯერ არც-ერთჯერ არ დამტკიცებულა-მეთქი, არ დაგიჯერებს, ერთი დიდი საფუძველი აქვს:

— ბატონო, ფულით რას არ იქს კაცი! ფული ყველას ალიკაპს ამოუდებს პირში!

სოფლის, გაუნათლებელი, ცრუ-მორწმუნე, ხალხი რომ ამას ამბობდეს, ეს კიდევ მაგდენათ გასაკვირველი არ არის; გასაკვირველი ის არის, რომ ბევრი განათლებული პირიც დაჯერებულია, რომ ურიებს ქრისტიანის სისხლი ეჭირებათ; დაჯერებულია და ხანდისხან აშკარათაც აცხადებენ ამ თავის რწმენას, უფრო ხშირად კი ჩუმ-ჩუმად ლაპარაკობენ. ესენი ამტკიცებენ, რომ მომეტებული ნაწილი იმ პირებისა, რომელნიც ამბობენ, რომ ამ გვარი ჩვეულება არა აქვთ ებრაელებსო, სრულებით წინაამდეგში არიან დარწმუნებულნიო, მხოლოთ ფარისევლობით ლაპარაკობენო, რადგან ეშინიანთო, რომ „თანამედროვე კაცის“ სახელს დავკარგავთო, ცრუ-მორწმუნეს დაგვიძახებენო!

— თუ ეს მართალი არ არის, მაშ რად არიან ყველა ურიები ამ საქმისათვის ახლა ასე თავგამოდებულნი! კითხულობენ ესენი, და რომ უთხრა: იმიტომ არიან, რომ შესაძლებელია მართალიც გამტყუვნდეს და ახლა რომ ესენი გამტყუვდნენ, მერე ჩვენში დასადგომი პირი საზოგადოთ ურიებს აღარ ექნებათ-მეთქი,—არ დაგიჯერებენ და გეტყვიან: გაამართლებენ თუ არა, მაინც მტყუანი არიან და ბრალდებული ურიები მაინც ველაც მიბედვენ საჩხერეს!

მართლაც, გასაკვირველი იყო ის მხურვალე მონაწილეობა, რომელსაც იღებდნენ ყველა ქუთაისის ურიები ამ საქმეში. ათი დღის განმავალობაში დილის 8—9 საათიდამ ღამის 10—11 საათამდინ მთელი ფართო ქუჩა სასამართლოს წინ მოფენილი იყო ურიებით. გამვლელ-გამომვლელს არ უშვებდნენ უკითხველად: როგორ მიდის-ე ჩვენი საქმე?

იყო ერთი ყაყანი, ღაღადი, ხელების მაღლა შვერა და ძახილი:

— ღმერთო იზრაელისაო! მოსე წინასწარმეტყველო, შეგვეწიე-ე!

მაგრამ საყურებელი მაშინ იყო, როდესაც სასამართლომ გამოიტანა ბრალდებულ ურიების გამამართლებელი განჩინება. ღმერთო ჩემო! რა ყაყანი შეჰქნეს ურიებმა, როგორ გახარებული იყვნენ, რამდენი ნეტარების ცრემლი დაღვარეს, როგორ გაუნათლდათ პირისახე! ხუთი ფაეტონი ჰყავდათ დაქირავებული, იმ წამსვე ჩასხდნენ, გააქანეს, ყველა ურიები ჩამოიარეს და ახარეს ეს ამბავი! და მართლაც გასახარებელი იყო იმათთვის ეს ამბავი

იყო ერთი პირი, რომელსაც ყველაზე უფრო აენო, ყველაზე უფრო „აწყინა“ ამ ებრაელების პროცესმა. ეს პირი იყო ბრალდებულების ერთი დამცველთაგანი უფ. ლუარსაბ ლოლუა...

მაგრამ იმაზე შემდეგში, იმ კვირას, რადგან მანამდინ ჩვენს გაზეთში გათავებული იქნება ურიების საქმის ბეჭდვა...

ოლოლაკელი

„საჩხერის მამასახლისმა აგვიხსნა ეს საქმე: ურიების აღდგომა იყოო. საჩხერის ებრაელებს ექეიფნათ; ამათ შორის ერთობ მომეტებულ გადაეკრა ერთს მიხეილ მლიკაშვილს; გადაკვრის შემდეგ აეტეხა ჩხუბი, მამასახლისს დაეჭირა, შეეკრა, მაგრამ გამოქცეულიყო თ. სიკო წერეთლის სახლში და აქ მოცვივნულიყვნენ ურიები ამის წასაყვანად! ზარემოება ეს იყო. და რა არ გამოიყვანეს აქედამ!

(გაგრძელება)

---

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

## „ბუტიაობა“

ვოდევილი

აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შაერდოვის გაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქ უ თ ა ი ს შ ი—უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

---

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. კ. მესხის მაღზიაში ისყიდება

## „ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი გრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

---

როდესაც თფილისის პოლიციის მოხელენი მოითხოვენ ხოლმე მოქალაქებისაგან ქუჩების და ტროტუარების გაწმენდას და გაკეთებას, ბევრნი ამ მოქალაქებთაგანი არ ასრულებენ ამ მოთხოვნილებას, ამისთვის რომ ვითომ ქუჩებისა და ტროტუარების გაწმედა და გაკეთება იმათი ვალი არ არის ქალაქის გამგეობისა, რადგანაც გამგეობა ახდევინებს სახლის პატრონებს ამ საჭიროებისთვის ფულებს. ეს განცხადება მოქალაქეთა ყურადღებაში მიიღო ზოგიერთა მომრიგებელ მოსამართლეებმა, რომელთაც არაფერი არ გადაახდევინეს იმ პირებს, რომელთ წინაალმდეგ პოლიციამ საჩივარი შეიტანა მოთხოვნილების შეუსრულებლობისთვის. ამ გაუგებარი საქმის ასახსნელათ პოლიციამ მისწერა თფილისის ქალაქის თავს, რომელმაც ამ წლის, 24 თებერვალს, № 915 გვაცნობა შემდეგი: რჩევას (დუმას) არ გადუწყვეტია სახლების წინ ქუჩების წმიდათ შენახვისთვის გადაეხდევინებინათ მეპატრონებისთვის შესახვედრი ფული და არც ახდევინებს საზოგადოთ ქუჩების წმედის და გაკეთების ხარჯათ არავითარ ფულს. ამ ქალაქის თავის მოწერილობის თანახმად და საფუძველსა ზედა მუხლებთა 844, 846, 846 და 848 მე-XIII ტომისა უ. პოლიციის მედიკ. უსტ. ხალხის სიმრთელის დაცვისა, განმეორებით მოვიწვევ უფალთ სახლების-მეპატრონეთა დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ გ ა ს წ მ ი დ ო ნ ე ზ ო ე ბ ი, ქუჩები და ტროტუარები თუ იქ იქმნება ნაგავი ან სხვა რამე უწმინდურება და გაასწორონ ქუჩები. ამ მოთხოვნილების შეუსრულებლობისათვის ბრალდებულნი იქნებიან მიცემულნი სამართალში.

თფილისის უმფროსი პოლიციმესტერი
პოლკოვნიკი მ ე რ კ ლ ი ნ გ.

(3 –3)

---

თფილისში უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში უფ. კოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში ისყიდება:

## ალმანახი

შედგენილი

გ. თუმანიშვილისაგან

წიგნი მეორე

გამოცემული გ. ჩარკვიანისაგან

ფასი—ორი აბაზი

---

ლექსები

## „სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, გრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზინებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, გ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და კოსტავასდუქანში.

ფასი ორი შაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კოპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კოპეიკათ.

---

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

იყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. გარემე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

---

## „ჯაერ ოსტატი“

კამედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება მ. ჯორჯაძისა

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 15 მარტს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯიხა, ფთ. | 1 | 60 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 40 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 10 |
| ბამბა ერევ ისა, ფუთი . | 7 | 40 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 30 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 55 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 55 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 | 8 |
| — ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 45 |
| — ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 60 |
| ყავა გოგრილი, გირვ . . | — | 65 |
| ხეთი ქუნჯუთისა ფუთი | 11 | 70 |
| თამბაქო, ხაშური ფთ. | 6 | 80 |

## თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუზარიანც—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუზარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი- შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 17 Марта 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.